

ხალგაზრდა ვეროელი

27

აპრილის
საშუალო
1991
№ 99
(11732)

ქვეყნის
1921

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპა.

მონეტების კარი გაგვიღა, კართხეულ ღვთისმშობელ!



ქრისტეს მოციქულებმა კენჭი იყარეს, თუ ვინ რომელ ქვეყანაში წახსულიყო ღვთის სიტყვის საქადაგებლად. საქართველოში წამოსვლა მარიამ ღვთისმშობელს ზედა წილად და აპირებდა კოლეც გამოგზავრებას, მაგრამ უფალმა აუწყა, რომ მოახლოებული იყო მისი მიძინების (გარდაცვალების) დღე და იერუსალიმს არ უნდა გაშორებოდა. მაშინ მარიამმა თავისი ხატი გადასცა მოციქულ ანდრეას და საქართველოში თავისი ლოცვა-კურთხევით გამოავსა. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იქნებოდა.

მიძინების დღესწავლას ფერისცვალების შემდგომ აღნიშნავენ საქართველოში ახე მრავლად არსებულ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიებში. მრავალი საბოტო საჯაროებელი შეიქმნა მარიამ ღვთისმშობელს, რომელმაც გვიწვა მაცხოვარი და რომელიც იფარავს ჩვენს სამშობლოს. საქვეყნოდა ცნობილი იხეთი საჯაროებლები, როგორცაა „შენ ხარ ვენახი“... და „ღვთისმშობელს ვადიდებდით“.

გახულ წელს ათონის ივერთა მონასტრიდან საქართველოში ჩამოსხვენებს მარიამ ღვთისმშობლის ხატი, რომელიც კარიბჭეს ღვთისმშობლის სახელითაა ცნობილი. ვადმოცუების თანახმად იგი დაიფარავს საქართველოს ქრისტეს მფარველ მოსვლის უამს.

მოწყალების კარი გაგვიღა, კურთხეულ ღვთისმშობელი!

გაუზინ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საგზოს საგანგებო სესიის სტრუქტურა.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნენ:
თანამშრომელთა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი — ქალაქ ბათუმის პრეფექტად;
თამარ მამუკაძე — ხულოს რაიონის პრეფექტად.
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით განთავსდნენ:
რამაზ მონიძე — ხულოს რაიონის პრეფექტის თანამდებობა-დან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ჩვენთან

აფხაზეთის ასსრ მთავრობა: ნახს გაქურდალი შეკენილი ვითარებები

ამ დღეებში კომუნისტური დაწესებულებებისა და ზოგიერთი გამოკლებების მხრივ ფარისევლობისა და მიწისმოთხრობის გამოკლებების ფაქტი საგზარისზე შეტია. ზიზს იწვევს აშკარად რეაქციული ორგანიზაციების, პირების ცდები თავი წარმოგვიდგინონ ახლა, სსრ კავშირში სამხედრო-პარტიული პუტრის ჩაგარდნის შემდეგ, ცანონსა და დემოკრატიის თავგამოდებულ ქომაგებად. თუ საბჭოთა პარტიული პრესის ფლაგმანი გახეთი „პრავდა“ უკვე გაწაფულია მსგავს მანიპულაციებში, და 23 აგვისტოს მოწინავე სტრუქტურის ნაბაღდები პათოსით სამარცხვინო ბოძე აკრავს „ზენობრიობისა და აღმართის უფლებათა მძალი პრინციპებისათვის“ შეთქმულებს, სხვემს ასეთი მანევრირება გაცილებით უჭირთ, და როგორც ყოველივე ამის შედეგი... რჩება სიმართლის უტყუარი საბუთები.

რადაც ამის მსგავსი მოუვიდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს. როგორც ჩანს, 21 აგვისტოს დღით, როცა ჯერ კიდევ იყო გადწვევტილი საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადართობის ბედი, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. მიქანბას წყლოწერიტ გამოცემა № 316 განკარგულა, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია: „საგანგებო კომიტეტის ნომერ პირველი დადგენილებებისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 19 თებერვლის დადგენილების შესრულებისათვის...“ განხორციელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებანი. შემდეგ დოკუმენტში გვხვდება ასეთი სიტყვები: „საგანგებო კომიტეტის დადგენილების განხორციელებასთან წარმოქმნილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისათვის ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას საქალაქო (რაიონული) აღმასკომების დროებითი კომისიები...“

ხომ არ მოგვანებთ ავადსახსენებელ კონტრარეგულაციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის?

და, ბოლოს, „...არ დავუშვით მტრების გამართვა, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციების, აგრეთვე გაფიცვათა მოწყობა“. თითქოსდა, გამონახეს კიდევ საბაბი შეაჩერონ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უქმყოფილების გამოხატვა მისი უზენაესი საბჭოს ცალკეული ხელმძღვანელების გაზრახვის გამო ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაუმართლა იმთ, ვისაც ამის იმედი ჰქონდა. ხალხმა, დემოკრატიათ თავიდან აგვიცალა ხელისუფლების სათავეში რეაქციის მოსვლა.

მაგრამ, აი, პუტრი დამარცხდა. როგორ მოიქცენ ახლა? მაგრამ მთავრობაში არ დაბნეულან და... თითქმის რამდენიმე საათში, ამავე ხელმოწერით, ამავე ნომერში გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს კიდევ ერთი განკარგულა, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებს მართლწესრიგის განტყვევებას. და ამ განკარგულაში, როგორც, აღბათ, უკვე ხვდებით, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საგანგებო კომიტეტზე, გაქრა ზემოთ მოყვანილი ციტატებიც.

როგორც იტყვიან, ამ კომენტარი ზედმეტი.
ურავს პრეზიდიუმი,
საქინფორმის კორესპონდენტი.

იმპერიის რღვევა გრძელდება

საბჭოთა იმპერიაში ე. წ. სახელმწიფო-სამხედრო პუტრის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ახალი ძალით დიწყო იმპერიის რღვევა. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს ესტონეთმა, ლატვიამ, უკრაინამ... როგორც იტყვიან, ბოლო ნახკვადე ცოტადა დარჩა.

ზეგრ რევიონში კანონგარეშედ გამოცხადდა კომპარტია, მოხდა მათი ქონების, რომელიც ათწლეულების მანძილზე ხალხის ძარცვა-გლეჯით იყო მოპოვებული, დენაციონალიზაცია. წესით იმპერიიდან მიიწე უნდა დაიწყო დემოკრატიის, დემოკრატიულ ძალთა აღდგომა. ვნახოთ, გადაჭრით ქრამის თქმა ძნელია. ყველაფერი ხალხზე, პროგრესულად მოაზროვნე მახებზე და მოკიდებული. მანამდე კი, ჩვენ ერთმანეთს მივულოცოთ კომპარტიის ხაზოლოო აღგვა პირისხაგან მიწისა.


მასკარინდროგაცია

გუშინ, დღით, 9 საათსა და 20 წუთზე, ერთ-ერთ სატვირთო მატარებელს, რომელიც თბილისიდან ხაშურის მიმართულებით მოძრაობდა, გორის სალგურში შეეჭმა ორთქლმავალი. როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან გვაცნობეს, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. გუშინ, შუადღისთვის, მოძრაობა ამ მონაკვეთზე შეჩერებული იყო და მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები.




რომან კარკასაშვილის ნახატ

საქათარი ინფორმაცია



რო- დავლა?

ფართო საზოგადოებრივობამ იცის, რომ სოხუმში, შუქურას მკიდრად დასახლებულ რაიონში კარგა ხანია დისლოცირებულია სადესანტო-მოიერიშე ჯარის ნაწილები, დაახლოებით რამდენიმე ასეული ჯარისკაცი. ხოლო ოფიცრები და პრაპორშჩიკები იმყოფებიან ჩელუსკინელების სახელობის ტურბაზაში. მათ თავიანთი ზღვარგადასული ქცევით, თავხედობით, სიმთვარეში ადგილობრივ მოსახლეობაზე მოწყობილი თავდასხმებით (ამაზე ითქვა კიდევ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით) დაამახვილეს სოხუმელებს თავი. ისინი საწვინელ-სამანევრო ვარჯიშებს, როგორც იტყვიან, პირდაპირ ქალაქის ცენტრში ატარებენ. ამას წინათ, მედესანტეთა საკავშირო დღეს მათ ღამის ნამდვილი „ომი“ გაჩაღეს სოხუმის საფეხბურთო რესპუბლიკურ სტადიონზე. ეს მართალია, „შეხად ეფექტური“ ხანაობა იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ ადგილობრივი მოსახლეობის რეაგირება ყოველივე ამაზე, როცა იმ საშინელი 1989 წლიდან 15-16 ივლისის მოვლენების კვალი მათში ჭერაც არ გამოქრალა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მედესანტეები, როგორც წესი, წელს ზემოთ შიშვლები დადიან...





მედესანტეები საქმაოდ ზშირად აწარმოებენ სასწავლო სროლებს სოხუმის ახალი მიკრორაიონისა და საკავშირო ოლიმპიური ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. ვარჯიშებს ისინი ზშირად „იერიშით“ იღებენ გუმბათის რკინიგზის ხიდს. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორი ხანაბავი იქნება ყოველივე ეს. უნდა ითქვას ისიც, რომ ამას წინათ ყოფილ სსრკ თავდაცვის მინისტრ იაზოვთან ივენენ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები. ამ ვიზიტის შემდეგ იაზოვმა გამოგზავნა აქ კენტრალიტეტი, იყო დაპირება, რომ მათ გადაიყვანდნენ სხვაგან, მაგრამ იაზოვის დაპირება, რა თქმა უნდა, დაპირებად დარჩა, ანკი ხად ეცალა, სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებაზე ფიქრობდა.

კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებდნენ პუტჩის დღეებში ეს მედესანტეები, ჩვენ რომ რაიმე საბაბი მიგვეცა მათთვის. თუმცა პუტჩისტებს თავისი გაწვრთვების განხორციელება რომ დასტოვდათ, ძნელი მისაბვედრი არაა, რომ ამ ნაწილებს წინ არაფერი დაუდგებოდათ. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვეს.

ეს ნაწილები თავიდანვე იუვენ და დღესაც მკიდრო კავშირში არიან ბლოკ „სოიუსთან“, და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის კომპარტიასთან. საქითხავია, როდემდე უნდა იუვენ ეს ნაწილები აქ. იმედია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ოპერატიულად მიიღებს კონკრეტულ ღონისძიებებს.

ეს კადრები ჩვენმა სოხუმელმა ფოტოკორესპონდენტმა შუქრი დგებუაძემ მოგვარწოდა. შიუბეღავად იმისა, რომ გამაფრთხილებელი წარწერა მას კარგხ არაფერს ჰპირდებოდა (ხაკითხავია, რატომ არ იყო ეს წარწერა აფხაურადაც?), რეპორტიორმა ისინი მედესანტე-მოიერიშე ნაწილების უშუალო დისლოცირების ადგილზე გადაიღო.

საკუთარი ინფორმაცია. შუქრი დგებუაძის ფოტოები.





წელს აქ სამუდამო განსასვენებელი პოვა მისმა ვაჟიშვილმა ალექსანდრემ, პეტრე პირველის ახლო მეგობარმა და თანამებრძოლმა, რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეხ-მაისტერმა, რომელიც ნარვასთან ბრძოლისას ტყვედ ჩაგვარდნის შემდეგ 10 წელი იმყოფებოდა შვედეთში და შემდეგ გზად მიმავალი გარდაიცვალა. 1712 წელს იმ ადგილზე, სადაც დაიმარხნენ მეფე არჩილის შვილები, მეფე არჩილმა დააარსა მირქმის ეკლესია, რომელიც გახდა ბაგრატიონთა საგვარეულო სასაფლაო. 1713 წელს აქვე დაიმარხა თვით მეფე არჩილიც დონის მონასტრის მემკვიდრის ვიგებთ, რომ 1719 წელს მირქმის ეკლესიაში, მეუღლის გვერდით დაუბარხავთ მეფე არჩილის მეუღლე — ქეთევანი, 1720 წელს — არქიმანდრიტი ლავრენტი და 1740 წელს — მეფე არჩილის ქალიშვილი დარეჯანი. აღსანიშნავია, რომ დარეჯანი იყო მამის საქმის ღირსეული გამგებელი. მეფე-პეტრე არჩილმა ხომ, როგორც მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის ორგანიზატორმა, მთელი თავისი ძალ-ღონე შეიღია საქართველოს რუსეთთან დაახლოებას. 1729 წელს დარეჯანმა განახორციელა მირქმის ეკლესიის გაფართოება და მონასტრის თაღის მიშენება იმ სახით, როგორც დღეს არის იგი.

მირქმის ეკლესიაში და მის გარშემო გალერეაში მოსკოვის ქართველთა კოლონიიდან დამარხულია სამოცდაექვსი მოღვაწე, რომელთა უმრავლესობა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში შევიდა.

და, სამწუხაროდ, ვერც ერთ ქართველს ვერ შევხვდით. იქაური თანამებრძოლები გულისტკივლით აღინშნავენ, რომ 1983 წლის სექტემბერში ტომბრის შემდეგ, როცა დონის მონასტრში დღევანდლების სახით მოდიოდნენ სხვადასხვა პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწეები, მწერლები და პოეტები, უკვე აღარავის მიუძღავს მათთვის, დიდი-დიდი, წელიწადში მჯერ ან 5-ჯერ თუ ვინმე დინტერესდებოდა. მხოლოდ იმასლა იხსენებენ, რომ პარტიული და სახელმწიფო თანამდებობის პირების სახელით მათთან რამდენჯერმე იყვნენ მისული „საქმიანი კაცები“ და მხატვარ-ლიბინერები, რომლებიც სთა-

თლაც ძალიან უნდოდათ მაშინ ამგვარი გამოფენის მოწყობა, ეცადნენ კარგად მზარაზთაფროსი გამოეცადათ. დღესდღეობით ეს ერთი და იგივე 25 კაცი უბრალოდ, ძალიან ცუდად არიან თუნდაც ამიტომ, რომ — მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა ამ ფენის ციალური რიცხვის მ.ი.მ. პროტენტს შეადგენენ და, როგორც იტყვიან, აქრთი მერცხალი გაფხულეს იქი მოიყვანს“.

აბარატმა თბილეთურად, სარკესავეთ ასაბა მდგომარეობა: ჩვენი უფლისწულები და დღე-ღამეების საფლავის ქვეშე „ტრუბები“ ჩამოული, ზედ რაზდევალკებია“ მოწყობილი და მირქმის ეკლესიის ტერიტორია თითქმის საწყობადაა გადაქცეული. ორი წელია ვედავები მის-



საქართველოს ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაცია ატარებს საქართველოს აქციას სახელწოდებით „ბაგრატიონი“, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ვატიანო ქველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის, ფოტო-კინო დოკუმენტისა და სხვა ისტორიულ-მხატვრული ღირებულების ნივთების მოვლა-პატრონობასა და სამშობლოში დაბრუნებას გულისხმობს, აგრეთვე ითვალისწინებს: საქართველოსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ადგილისადმი ყურადღებას. ამ მხრივ ბოლო ორი წლის მანძილზე, მართლაც, ბევრი მნიშვნელოვანი მასალა მოვიძიეთ.

წინაპართა საფლავებს მრეკლი და ყვავილები უხდება

1983 წელს, საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და გეოგრაფიკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა ამოცანად დაისახა იმ ადგილის უკვდავყოფა, სადაც დამარხული არიან ის ქართველი მოღვაწეები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რუსეთთან საქართველოს დაახლოებაში (საუბარია ყველასათვის კარგად ნაცნობ დონის მონასტრზე). თბილისის მეგობრობის მუზეუმს ამ საქმეში დაეხმარა მოსკოვის ა. ვ. შუსტევის სახელობის არქიტექტურის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი.

XVIII საუკუნის დასაწყისში დონის მონასტრი რუსეთში მო-

ღვაწე ქართველი რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი ხდება. ამას ხელი შეუწყო 1705 წელს მოსკოვის ზღაპრულსტოვისკის მონასტრის ოლუმენის ლავრენტი იმერელის (გამაშვილი) დონის მონასტრის არქიმანდრიტად დანიშვნამ. იგი ცნობილი იყო არა მარტო როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არამედ როგორც მონასტრში ქვის კედლებისა და გალერეის ოთახების აღმშენებელი. ლავრენტი გაბაშვილს მოღვაწეობის დროს დონის მონასტრში ხშირად იმყოფებოდნენ და მოსკოვთან დაახლოების საკითხებს განიხილავდნენ პეტრე პირველი, მეფე არჩილ ვახტანგის ძე ბაგრატიონი, მისი მეუღლე ეკატერინე დავითის ასული (ქეთევანი), მათი ქალიშვილი დარაა (დარეჯანი) და მოსკოვის ქართული კოლონიის სხვა წარჩინებული წარმომადგენლები. მრავალი წლის მანძილზე მეფე არჩილი და მისი ოჯახი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამონასტრო საქმეებში.

ლავრენტი გაბაშვილის ნებართვით, მეფე არჩილმა ეკლესიის თაღის ქვეშ დაიმარხა თავისი ვაჟიშვილები და ახლობლები. 1711

1983 წელს თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა გადაწყვიტა დონის მონასტრში ჩატარებინა კომპლექსური არქიტექტურულ-სარესტავრაციო სამუშაოები, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა მირქმის ეკლესიის რესტრუქციები.

1983 წლის 14 აპრილს მირქმის ეკლესიაში აიხდა იატაკი, გაიხსნა ბრინჯაოს ფილა და არქეოლოგები პირველი აღმოჩენების მომსწრენი გახდნენ. აიხდა აგრეთვე ქართველ თავადთა ნათესავების: სერგეი ალექსანდრეს ძე მენშკოვის და მისი მეუღლის ეკატერინე ნიკოლოზის ასულის საფლავები. ეს ის შემთხვევები არიან, ნაპოვნის ჩარისკაცების მიერ დარბეული და დატყუებული მირქმის ეკლესია თავისი ხარკით რომ აღდგინეს.

1983 წელს დონის მონასტრიდან წამოღებული იქნა სულ 191 ნაპოვნი ნივთი; საქართველოში დღესდღეობით არ გვაქვს მოწყობილი მათი ექსპოზიცია და დღემდე არც ერთი არ არის დაბრუნებული.

ბოლო ორი წლის მანძილზე დაახლოებით 20-ჯერ ვიყავი დონის

ვაზობდნენ მონასტრის კომპლექსის კულტურის ან გართობის ცენტრად გადაკეთებას.

ჭერ კიდეც 1989 წელს მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობისა და კულტურის ცენტრ „მზიურის“ ხელმძღვანელებს შევთავაზე „მზიურის“ საგანგებო დარბაზში ფოტოგამოფენის „საქართველო დღეს“ მოწყობა. დამთანხმდნენ, მაგრამ როგორც ქი შეიტყუეს, რომ იქ პუბლიცისტურ დოკუმენტურ მასალას წარმოვადგინდი, განსაკუთრებით კი ნოემბრის შიშვლიობისა და 9 აპრილის მოვლენების შესახებ, აშკარად შეეცვალა განწყობილება და დამშვიდობებისას დამამიყვინეს — დავიკავშირდებითო. ასე რომ, დღემდე ველოდები შეტყობინებას, ვერ გამოიხსენი საგანგებო „თავისუფალი ფანჯარა“, თუმცა კარგად ვიცი, რომ ამგვარი გამოფენის მოწყობისათვის ვინმესაგან საყვედურს მიიღებდნენ, ამა რად უნდა აეტკიათ აუტკივარი თავი“.

ქართული სათვისტომოს ზოგიერთ წევრს, განსაკუთრებით კი ბატონ ლევან ფესვიანიძეს, მარ-

პინძლებს, მაგრამ ბევრ რამეში ჩვენც ვტყუდვართ. მარტო ჩხუბით ვერაფერს გავხდებით. უკვე კომპრომისული გზებიც გამოვინახე, მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ადგილის გაფართოება შენახვისათვის. ხელთ მაქვს უამრავი მამხილებელი დოკუმენტური ფოტო-მასალა. საქართველის მიხედვით, შესაძლებელია გამოვაქვეყნო კიდევ.

ვიმეორებ, რომ მირქმის ეკლესიაში და მის გარშემო გალერეაში, მოსკოვის ქართველთა კოლონიიდან დამარხულია სამოცდაექვსი მოღვაწე, რომელთა უმრავლესობა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში შევიდა. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ არც რუსეთსა და არც საქართველოში არ არის ისეთი ადგილი, სადაც შემონახული იყოს საქართველოსათვის ისტორიულად ცნობილი პიროვნებების იმდენი საფლავი რამდენიც დონის მონასტრშია.

რამდენადაც დღეს საქართველო ეკონომიკურ ბლოკადაშია, მთავრობის მძიმე მემკვიდრეობის გამოსწორება უხდება და აღარა გვაქვს მენშკოვების და ხმარების იმედი, მოდიო, სხვების ჩაურევლად მივხედოთ ამ საქმეს.

თამაზ ბიბილაძე, რეჟისორი, საქართველოს ფოტოჟურნალისტი და კინემატოგრაფისტია ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი. აზნისტი-ს ფოტოები.

ნაერილი რედაქციას

ამა წლის 10 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა კოლუმბარტივ „არმაზი-88“-ის განცხადება, რომელიც იუწყავბოდა მათ მიერ გამოცემული ათრომეულის პირველი წიგნის გაყიდვის შესწავების შესახებ 12 აგვისტოდან.

ჩვენ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭახაშკარის ახალგაზრდებს 25 კაცამდე გამოწერილი გვაქვს ათრომეულის ყველა წიგნი. „ახალგაზრდა ივერიელის“ იანვრის თვის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე ჩვენ ვავაზავენთ ხელმოწერის ქვითარისათვის საჭირო თანხა ათი მანეთი. ამა წლის მაისის თვეში გავით „თბილისის“ ერთ-ერთ ნომერში გა-

მოქვეყნდა პირველი წიგნის „ახალგაზრდა კოლუმბარტივის“ ენციკლოპედია“ გამოცემა-გაყიდვის შესახებ განცხადება, თანაც საფოსტო გაზავნილთა ხელმოწერებისაგან თხოვდნენ წიგნის საფასურისა და გაგზავნის თანხის ქვითარის ასლის გაგზავნას კოლუმბარტივის მისამართზე, თანხა შეადგენდა 6 მანეთსა და 80 კაპიკს. ფულის გადახდის ქვითარი გვავაზავნეთ, მაგრამ წიგნი არ მოვიღიო.

10 აგვისტოს ნომერში კოლუმბარტივის გამგეობა იუწყება წიგნის გაყიდვის შესწავლის შესახებ.

რამდენჯერმე მივმართეთ წერილობით კოლუმბარტივის გამგე-

ობას თუ როგორ შეგვეძლო წიგნების მიღება თბილისში ჩაუსვლელად, მაგრამ მათგან არავითარ პასუხი არ მივიღიო. ჩვენს მიერ გადახდილი თანხა 17 მანეთი უმნიშვნელოა, მაგრამ ძალიან გვიინდოდა შეგვეძინა ეს წიგნები, კოლუმბარტივის განცხადების ყველა პირობა შევასრულეთ, მაგრამ წიგნები მაინც არ ჩანს.

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით კოლუმბარტივის გამგეობამ გვაცნობოს, როგორ შევძლებთ აღნიშნული წიგნების მიღებას.

ჯისაშკარა ახალგაზრდები.

რედაქციისათვის: იმედა, კოლუმბარტივის „არმაზი-88“-ს ხელმძღვანელობა უნახუბოდ არ დავტოვებ არც ჩვენ და არც ქი. მაშკარელ ახალგაზრდებს.

უცხო ენები ყველასათვის

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების კურსები აგრძელებს მსმენელთა მიღებას გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ქართული და რუსული ენების შემსწავლელ ჩაუფაში.

მსურველები ჩაუფაში ჩაირიცხებიან უკამოცდოდ. ჩვენთან მიღებული ცოდნა დაგეზმარებათ თქვენი საქმიანობის ყველა სფეროში.

სასწავლო წელი იწყება პირველ სექტემბერს. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ 19 სოდან 22 საათამდე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: აკრებობა-რაფია, ერთი ფოტოსურათი (3X4), პასპორტი, ცნობა შრომითი საქმიანობის შესახებ.

კურსები სამუდამო ანგარიშ-

ზეა (ერთი სასწავლო წლის გადასახალია 220 მანეთი).

სწავლის ქირის გადახდა წმინდოებს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. ჩაუფაში შეიძლება გაიხსნას ორგანიზაციები.

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია.

კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელი მიიღებს მოწმობას საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით.

განცხადებები შთიღება ყოველდღე გარდა შაბათისა და კვირისა, 19 სოდან 21 სოდამდე.

იჭარეთი დადგენილი კონტინგენტის შევსების შემთხვევაში კურსები წყვეტს მსმენელთა მიღებას. ჩვენი მისამართია: ფალოშვილის ქ. № 34, 56-ე საფლავი სკოლა. ტელეფონი: 22-36-85.

